ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

29.05.2017 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ნასყიდობის საგანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 15.02.17წ. №07.12.124 და 24.105.17წ. №18.07.349 განკარგულებების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 08.05.17წ. №160 და 19.05.17წ. №176 განკარგულებების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით **სსიპ - ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი გელა წიკლაურის მიერ - პ/ნ: №01008016352) და მეორეს მხრივ, **შპს „Portal“** (შემდგომში „ქონების შემძენი“, ს/ნ: 404989241; მის: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. №19, ოფისი №44, წარმოდგენილი ნოდარ ხუხაშვილის მიერ - პ/ნ: 01024072157), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (ნასყიდობის საგანი):

1.2.1. ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებულ 1921 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.11.12.022.023)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882015449241 – მომზადების თარიღი 12/08/2015

1.2.2. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ-სა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებულ 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (მიწის საკადასტრო კოდი: №01.11.17.008.032)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882017077803 – მომზადების თარიღი 06/02/2017

1.2.3. ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებულ 388 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.11.17.005.088).

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882017079511 – მომზადების თარიღი 03/02/2017

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა - 880 000 (რვაას ოთხმოცი ათასი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773390
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან

მუხლი 3. საპრივატიზებო პირობები

ქონების შემძენის მიმართ განისაზღვრა შემდეგი საპრივატიზებო პირობები:

3.1. საკუთრებაში გადაცემულ თითოეულ მიწის ნაკვეთზე თითო ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა და ესპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის ვადაში.

3.2. არანაკლები 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების გზით სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანისა და ნაძალადევის რაიონების გამგეობების მიერ განსაზღვრული ადგილმდებარეობით, შემდეგ მისამართებზე:

ა) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება III მ/რ, II კვ. №33 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია;

ბ) ქალაქ თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ, კორპ. №20-სა და კორპ. №23-ს შორის მდებარე ტერიტორია;

გ) ქალაქ თბილისში, გლდანის მე-6 მ/რ, კორპ. №18-ის მიმდებარე ტერიტორია.

მუხლი 4. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, საპრივატიზებო პირობებით. მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთები ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული.

5.2. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

5.3. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ნასყიდობის საგანზე.

5.4. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა საპრივატიზებო პირობების შესრულების ვალდებულებით, შემდეგი ჩანაწერით: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობებით“.

5.5. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

5.6. ნასყიდობის საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობები ვალდებულებად დარეგისტრირდება და შესაბამის საჯარო რეესტრიდან ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობებით“.

5.7. ქონების შემძენი ვალდებულია, შეასრულოს საპრივატიზებო პირობები და საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

5.8. ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს ქონების შემძენის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

5.9. ქონების შემძენი ვალდებულია, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 თვის ვადაში შეავსოს იგი სრულ ოდენობამდე.

5.10. ქონების შემძენის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ჩაირიცხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

5.11. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააგენტოს წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია საპრივატიზებო პირობების და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

5.12. ნასყიდობის საგნის გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია ნასყიდობის საგანი ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე პირობებით და ვალდებულებებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით. უძრავი ქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს სააგენტოს.

5.13. ქონების შემძენს უფლება არა აქვს, საპრივატიზებო ვალდებულებების/პირობების შესრულების მიზნით იპოთეკით ან გირავნობით დატვირთოს შეძენილი ქონება სააგენტოს თანხმობის გარეშე.

5.14. საპრივატიზებო პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციას ქონების შემძენი ადასტურებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პირის/პირების მიერ გაცემული დასკვნით.

5.15. საპრივატიზებო პირობების შესრულება დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოცემული სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5.16. საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.17. საპრივატიზებო პირობების ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

5.18. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება (ან მისი გამიჯვნის შედეგად წარმოქმნილი ან მისი სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანებით წარმოქმნილი უძრავი ქონება) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

6.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე.

6.3. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე.

ნოდარ ხუსკივაძი

6.4. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების (ინვესტიციის განხორციელება - ხელშეკრულების 3.2 პუნქტში მითითებული ოდენობით) დარღვევის შემთხვევაში, მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაერიცხება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება დარჩენილი საინვესტიციო ვალდებულების სრულ განხორციელებამდე.

6.5. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 7. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

8.4. წასყიდობის საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

8.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

8.6. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

გელა წიკლაური

შპს „Portal“

ნოდარ ხუხაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01171362226**

გაცემის თარიღი: **16.05.2017**

ადრესატი:
მიმღები: შპს Portal
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404989241
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამრეკელის ქ., №19, ოფისი №44

სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში შემოსულ თქვენს 27.10.16წ. 20.01.17წ. 24.01.17წ. #19, 03.02.17წ. #21 წერილებში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მთავრობის 15.02.17წ. #07.12.124 განკარგულებით და ქ. თბილისის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის #160 განკარგულებით მიღებულია გადაწყვეტილებები #01.11.12.022.023, #01.11.17.008.032 და #01.11.17.005.088 საკადასტრო ერთეულების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით შპს „Portal"-ისთვის (ს/ნ: 404989241) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 880000 (რვაას ოთხმოცი ათასი) ლარი. ხოლო, საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა:

ა) საკუთრებაში გადაცემულ თითოეულ მიწის ნაკვეთზე თითო ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა და ესპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის ვადაში;

ბ) არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების გზით სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ განსაზღვრული ადგილმდებარეობით, შემდეგ მისამართებზე:

ბ.ა) ქალაქ თბილისში, აფხაიძის ქ. №3-ის მიმდებარე ტერიტორია;

ბ.ბ) ქალაქ თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ, კორპ. №20-სა და კორპ. №23-ს შორის მდებარე ტერიტორია;

ბ.გ) ქალაქ თბილისში, გლდანის მე-6 მ/რ, კორპ. №18-ის მიმდებარე ტერიტორია.

აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, შესაძლებელია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულების გამოცემიდან 3 თვის ვადაში.

ამასთან, საპრივატიზებო პირობად განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „Portal"-მა უნდა წარმოადგინოს არანაკლები 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

დანართი: 1 ფურცელი

სააგენტოს უფროსი კარლო ლაფერაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 160

“ 8 ” მაისი 2017 წ.

ქ. თბილისი

№01.11.12.022.023, №01.11.17.008.032 და №01.11.17.005.088 საკადასტრო ერთეულებით განსაზღვრული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „№01.11.12.022.023, №01.11.17.008.032 და №01.11.17.005.088 საკადასტრო ერთეულების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანია შპს „Portal“-თან (ს/ნ: 404989241) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 თებერვლის №07.12.124 განკარგულებით გათვალისწინებული ქვემოთ მითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „Portal“-თან (ს/ნ: 404989241) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად:

ა) ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 1921 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.11.12.022.023);

ბ) ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ-სა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებულ 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (მიწის საკადასტრო კოდი: №01.11.17.008.032);

გ) ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მ/რ, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს არსებული 388 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.11.17.005.088).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01172202430**

თარიღი: **08.08.2017**

ადრესატი:
შპს Portal
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404989241
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამრეკელის ქ., №19, ოფისი №44

თქვენი 2017 წლის 7 ივლისის N10/01171883321-61 და 2017 წლის 17 ივლისის N10/01171981555-61 განცხადებების პასუხად, გიგზავნით "ქ. თბილისის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "Portal"-ს (ს/ნ: 404989241) შორის 2017 წლის 29 მაისს გაფორმებული "უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 8 აგვისტოს N♭61.01172201 ბრძანებას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო -
ადმინისტრაციული სამსახური -
სამსახურის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი თ. მეშველიანი თეიმურაზ მეშველიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ბრძანება: **ბ61.01172201**

თარიღი: **08.08.2017**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "Portal"-ს (ს/ნ: 404989241) შორის 2017 წლის 29 მაისს გაფორმებული "უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 თებერვლის N07.12.124 და 2017 წლის 24 მაისის N18.07.349 განკარგულებების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N160 და 2017 წლის 19 მაისის N176 განკარგულებების საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "Portal"-ს (ს/ნ: 404989241) შორის 2017 წლის 29 მაისს გაფორმებული "უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს არანაკლები 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების გზით სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანისა და ნაძალადევის რაიონების გამგეობების მიერ განსაზღვრული ადგილმდებარეობით, შემდეგ მისამართებზე:

ა) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება III მ/რ, II კვ. N33 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია;

ბ) ქალაქ თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ, კორპ. N20-სა და კორპ. N23-ს შორის მდებარე ტერიტორია;

გ) ქალაქ თბილისში, გლდანის მე-6 მ/რ, კორპ. N18-ის მიმდებარე ტერიტორია.

შპს „Portal"-მა (ს/ნ: 404989241) 2017 წლის 7 ივლისის N10/01171883321-61 და 2017 წლის 17 ივლისის N10/01171981555-61 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარმოდგენილი შპს "ფინანსური მართვის ჯგუფის" (ს/კ: 205279660) 2017 წლის 12 ივლისის დასკვნის საფუძველზე, ითხოვა ქ. თბილისის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "Portal"-ს (ს/ნ: 404989241) შორის 2017 წლის 29 მაისს გაფორმებული "უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურება.

შპს "ფინანსური მართვის ჯგუფის" (ს/კ: 205279660) 2017 წლის 12 ივლისის დასკვნის თანახმად, დამკვეთის მიერ მოწოდებული პირველად დოკუმენტაციაზე (ანგარიშ-ფაქტურები. ფორმა-2, მიღება-ჩაბარების აქტები, ხელშეკრულებები) და ობიექტის ადგილზე ინსპექტირების შედეგად დგინდება, რომ შპს „Portal"-ს (ს/კ: 404989241), 2017 წლის 29 მაისს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოსთან" გაფორმებული ხელშეკრულების 3.2. პუნქტით ნაკისრი ვალდებულება (არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელების გზით სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანისა და ნაძალადევის რაიონების გამგეობების მიერ განსაზღვრული ადგილმდებარეობით, შემდეგ მისამართებზე: ა) გლდანი, VII მ/რ, N20-N23-ს კორპუსების მიმდებარედ სპორტული მოედანი; ბ) თემქა (ზღვის უბნის დასახლება), III მ/რ, II კვ. N33 კორპუსის მიმდებარეს სპორტული მოედანი; გ) გლდანი, მე-6 მ/რ, კორპ. N18-ის მიმდებარედ სპორტული მოედანი) შესრულებული აქვს სრულად, კერძოდ, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, გაწეული აქვს 100,014 (ასი ათას თოთხმეტი) ლარის ინვესტიცია დღგ-ის გარეშე, მათ შორის:

გლდანში, VII მ/რ, N20-N23 კორპუსების მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობაზე გაწეული სამშენებლო სამუშაოებზე განხორციელებული ინვეტიცია შეადგენს 23561,75 ლარს დღგ-ის გარეშე;

თემქაზე (ზღვის უბნის დასახლება), III მ/რ, II კვ. N33 კორპუსის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობაზე გაწეული სამშენებლო სამუშაოებზე განხორციელებული ინვეტიცია შეადგენს 22 473,32 ლარს დღგ-ის გარეშე;

გლდანში, VI მ/რ, კორპუსი N18-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობაზე გაწეული სამშენებლო სამუშაოებზე განხორციელებული ინვეტიცია შეადგენს 53 979,22 ლარს დღგ-ის გარეშე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2017 წლის 31 ივლისის N35-01172122819 წერილის მიხედვით, თემქის დასახ. მე-3 მ/რ, მე-2 კვ. კორპ. 33-ის მიმდებარედ არსებულ სპორტულ მოედანს მ/წლის ივნისის თვეში ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის რაიონის გამგეობის 2017 წლის 3 აგვისტოს N34-01172152342 წერილის მიხედვით, გლდანის რაიონის ტერიტორიაზე, გამგეობის მიერ განსაზღვრული ადგილმდებარეობით, 7 მ/რ, კორპ N20-23-ს შორის (საკ. კოდი 01.11.10.004.014 მიმდებარე ტერიტორიაზე) მოეწყო სპორტული მოედანი, სადაც შეიცვალა ხელოვნური ბალახის საფარი, მოეწყო ახალი კალათბურთის ფარები და პლასტმასის დასაჯდომი სკამები და 6 მ/რ, კორპუსი N18-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (საგ.კოდი 01.11.10.008.010) მოხდა არსებული სპორტული მოედნის დემონტაჟი და მოეწყო ახალი კაპიტალური სპორტული მოედანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-73 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "Portal"-ს (ს/ნ: 404989241) შორის 2017 წლის 29 მაისს გაფორმებული "უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.14 და 5.15 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს ქ. თბილისის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "Portal"-ს (ს/ნ: 404989241) შორის 2017 წლის 29 მაისს გაფორმებული "უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

3. სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებას დაევალოს: შპს "Portal"-ისთვის (ს/ნ: 404989241) წინამდებარე გადაწყვეტილების გაცნობის მიზნით, ამ ბრძანების გაგზავნა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გამრეკელის ქუჩა N19, ოფისი N44.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შეიძლება, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააგენტოს უფროსი გარლო ლაფერაძე